



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აკოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დიზაინის ფაკულტეტი

მხატვრული კერამიკა

Ceramic Arts

პროგრამის ხელმძღვანელი : გიორგი იაშვილი, პროფესორი,
მხატვრული კერამიკის მიმართულების ხელმძღვანელი

დამტკიცებულია თსსა დიზაინის საბჭოს მიერ 2023

წლის 5 აპრილის სხდომის ოქმი № 5

თსსააკადემიურისაბჭოს

2023 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი №23

პროგრამის სახელწოდება : 0214.1. 2 მხატვრული კერამიკა. Ceramic Arts

ფართო სფერო (მიმართულება) : 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა) : 021 ხელოვნება Arts

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია) : 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა) Handicrafts

განათლების საფეხური : უმაღლესი განათლების პირველი საფეხური/ბაკალავრიატი (6)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ კერამიკაში /Bachelor of Fine Arts in Ceramic Arts

ბაკალავრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნა : ბაკალავრიატის სრული კურსის წარმატებით გავლისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად ბაკალავრმა უნდა დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (გრანტის მოსაპოვებლად, ჩასაბარებელი საგნები პრიორიტეტის მიხედვით :

1. ქართული ენა და ლიტერატურა ; 2. უცხოური ენა ; 3. მათემატიკა ; 4. ისტორია.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს თსსა შემოქმედებითი ტური. ინფორმაცია შემოქმედებითი ტურის შესახებ ხელმისაწვდომია აბიტურიენტისათვის ტურის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე. შემოქმედებითი ტურის დებულება იხ. თსსა ვებგვერდზე https://drive.google.com/file/d/14s8V8Pe_kHNyr9r7JjhgApk6i0kfybwy/view

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. კერძოდ,

I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/ სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/5 ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე. იხ.

თსსა ვებგვერდზე <https://drive.google.com/file/d/1oHolwwz6ZS2QpNDPetCuWV-9IuQVZnAg/view>

სწავლების ენა - ქართული

სწავლის ხანგრძლივობა : 4 წელი (8 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი (ECTS),

1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.

ერთი აკადემიური წელი - 2 სემესტრი

კრედიტის მოცულობა - 60 (ECTS)

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა

1 სემესტრი მოიცავს - სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს, მათ შორის, 15 სასწავლო კვირა, სასესიო კვირა- მე-16, მე-17, მე-18

1 სემესტრის განმავლობაში - ერთი შუალედურის გამოცდა.

სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ - დასკვნითი გამოცდა.

დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილია - 2 კვირა და დამატებით გამოცდისათვის 1 კვირა

პროგრამის ანოტაცია

კერამიკა, ფართო გაგებით, წარმოადგენს ადამიანის საქმიანობის ერთერთ უძველეს და ტექნოლოგიური თვალსაზრისით მუდმივად განვითარებად/განახლებად დარგს. იგი რჩება გამოყენებითი, დეკორატიული ხელოვნების აქტუალურ დარგად. კერამიკული მასალა, თავისი უნივერსალურობის გამო, ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ტექნიკურ, სამშენებლო, მანქანადმშენებლობის, სანიტარულ თუ სამედიცინო-სამკურნალო სფეროებში.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს კერამიკის სერთერთ უმთავრეს ტრადიციულად წამყვან დარგს - “მხატვრულ კერამიკას” ანუ “კერამიკის ხელოვნებას”, რომელიც თავისთავად შედგება სპეციფიური ქვედარგებისგან, რომელთა ფართო სპექტრი მასალათა ტექნოლოგიური თვისობრიობით არის განპირობებული (დაბალტემპერატურიანი და მაღალტემპერატურიანი, ფოროვანი და შემცხვარკეციანი შედგენილი თიხები და სხვა). ქვედარგები განსხვავდება ასევე წარმოების მეთოდებით. ეს ყოველივე ქმნის დარგის ფართო სპექტრს, რომლის ზოგადი-საბაზისო შესწავლა საკმაოდ მოცულობითია და რომელსაც ემსახურება საბაკალავრო პროგრამა. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამა არის მხატვრული კერამიკული მასალის შესწავლის, მისგან მხატვრული დონის პროდუქციის შექმნის საბაზისო სასწავლო კურსი და წარმოადგენს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ტექნოლოგიურ, დეკორატიულ-გამოყენებით, სადიზაინო და სახვითი საკითხების ერთობლიობას. პროგრამა ორიენტირებულია გამოყენებითი, დეკორატიული ხელოვნების მხატვარ-კერამიკოსის აღზრდაზე, რომელიც პროგრამის ფარგლებში მიღებული ზოგადთეორიული და პრაქტიკული ცოდნით შესძლებს დარგში წარმატებულ საქმიანობას. პროგრამა ასევე მოიცავს ვიზუალური ხელოვნების საბაზისო კურსს (ხატვა, ფერწერა, ქანდაკება), ხელოვნების ისტორიის ზოგად თეორიულ კურსებს (მსოფლიო ხელოვნების ისტორია, ქართული ხელოვნების ისტორია), ციფრულ ტექნოლოგიებს, ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ არჩევით საგნებს.

პროგრამის მიზანი

მოდერნიზებული, ხარისხობრივად გამართული საგანმანათლებლო დისციპლინების პრაქტიკაში განხორციელება, კერძოდ : მოამზადოს ბაკალავრი, რომელსაც ექნება შესატყვისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დეკორატიულ- გამოყენებით ხელოვნებაში, შესძინოს მას პირველი საფეხურის შესაბამისი კომპეტენციები მხატვრული კერამიკის სპეციალობაში. ჩამოაყალიბოს მხატვრული კერამიკის ტექნოლოგიის ზოგადი, საბაზისო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი. ჩამოაყალიბოს შემოქმედი, რომლისთვისაც მხატვრული კერამიკა აორგანული საკომუნიკაციო ენა და თვითგამოხატვის საშუალება იქნება.

სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშიაგამოყენებითი ხელოვნების / (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან. უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები ბრძანება MES 5 22 0000897354 12.08.2022) ოქმი გამოყენებითი ხელოვნების/ (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ).

• ცოდნა / გაცნობიერება

1. მხატვრული კერამიკის სპეციალობაში ახდენს ზოგადი, ფართო სპექტრის ცოდნის დემონსტრირებას დარგის პრაქტიკული და თეორიული პრინციპების შესახებ.
2. მხატვრული კერამიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, იცის კერამიკის ნაწარმის ზოგადი სპეციფიურობის მქონე ნამუშევრის სხვადასხვა მასალაში შესრულების თანამედროვე და ტრადიციული საბაზისო ტექნიკური და ტექნოლოგიური მეთოდები.
3. შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებისას იცის, როგორ შეუსაბამოს გამოყენებითი ფუნქცია, ფორმა და ესთეტიკურ-მხატვრული მხარე ერთმანეთს.
4. იცის, დასახული ამოცანიდან გამომდინარე, მისი სპეციფიურობის გათვალისწინებით, როგორ შეიმუშავოს ორიგინალური, მხატვრული, შემოქმედებითი კონცეფცია.

• უნარი

5. ესკიზური პროექტის მომზადების და ნამუშევრის მასალაში შესრულების პროცესში მოიძიებს შესაბამის ინფორმაციას, მოცემულობით განპირობებულ ფარგლებში აყალიბებს შემოქმედებით იდეას და გეგმავს მისი რეალიზების პროცესს.
6. მასალაში შესრულებისას დარგში გამოყენებადი სხვადასხვა კერამიკული მასალის მეშვეობით, თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენებით ქმნის მხატვრული კერამიკის ნიმუშებს.
7. გეგმავს შემოქმედებით, ტექნიკურ, ტექნოლოგიური სამუშაო პროცესის ქრონოლოგიას. მოცემულობის შესრულებისას იცავს შემუშავებულ ეტაპობრივ სქემას და შედეგადად ასრულებს მოცემულობას.
8. საზოგადოებას წარუდგენს თავის ნაშრომს რისთვისაც იყენებს თანამედროვე და კლასიკურ საშუალებებს.

• პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. შემოქმედებით, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საქმიანობაში ითვალისწინებს უსაფრთხოების ზომებს, ეკო-მეგობრულობის, უნარჩენო წარმოებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპებს.
10. ნაშრომის/პროექტის შემუშავებისას იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და აკადემიურ სტანდარტებს.
11. განსაზღვრავს თავისი სწავლის, პროფესიული განვითარების საჭიროებებს და გეგმავს კარიერულ განვითარებას.

სწავლება/სწავლის მეთოდები :

პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სწავლება-სწავლების მეთოდები მიმდინარეობს შემდეგი ფორმატით : ლექცია, სტუდიური/ლაბორატორიული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, გუნდური მუშაობა, ურთიერთსწავლება, შემოქმედებითი პროექტი / პროექტზე დაფუძნებული სწავლება, კონსულტაცია, სასწავლო პრაქტიკა, სემინარი, პროექტირება, მოდელირება, ექსპონირება / პრეზენტაცია და სხვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა :

სასწავლო კომპონენტის შეფასება ასქულიანია, მრავალკომპონენტია. შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში (სასწავლო კომპონენტის შეფასების საერთო ქულა - 100 ქულა).

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება, სემესტრის განმავლობაში ითვალისწინებს 2 გამოცდას :

- შუალედური შეფასება - 40 ქულა (მაქსიმალური)
- დასკვნითი შეფასება - 60 ქულა (მაქსიმალური)

| ქულები | შეფასება | | შეფასების კვალიფიკაცია |
|------------|----------|---|------------------------|
| 91% - 100% | A | ფრიადი | დადებითი |
| 81% - 90% | B | ძალიან კარგი | დადებითი |
| 71% - 80% | C | კარგი | დადებითი |
| 61% - 70% | D | დამკმაყოფილებელი | დადებითი |
| 51% - 60% | E | საკმარისი | დადებითი |
| 41% - 50% | FX | ვერ ჩააბარა (ემლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება) | უარყოფითი |
| 0% - 40% | F | ჩაიჭრა (კურსი თავიდან უნდა გაიროს (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისინ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი) | უარყოფითი |

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება :

შეფასების მეთოდებად გამოყენებულია - პრეზენტაცია, პორტფოლიო, ექსპოზიცია, გამოფენა და სხვ. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს : ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას საბაკალავრო ნაშრომი თვისობრივად წარმოადგენს სემესტრული სასწავლო პროცესის გაგრძელებას და სრულდება მე -VIII სემესტრში. მისი მოცულობა შეადგენს 20 კრედიტს. ფასდება ჩვეულ სემესტრულ ფორმატში, შუალედური შეფასების მეშვეობით. დასკვნითი გამოცდის ფორმატი -ექსპოზიცია (მასალაში შესრულებული ნაკეთობა). ფასდება მასწავლებლებისაგან (დარგის წარმომადგენლებისაგან) შემდგარი კომისიის მიერ. საბაკალავრო ნაშრომი ფაქტობრივად მოიცავს საწავლო საფეხურზე სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა- გამოცდილებისა და ათვისებული უნარ-ჩვევების შემაჯამებელ, კომპლექსურ პრეზენტაციას. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს

სტუდენტი. შესაძლებელია სტუდენტს ჰყავდეს თანახელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელი, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს წარადგენს ფაკულტეტის საბჭოზე დასამატკიცებლად, ასევე ხელმძღვანელთან შეთანხმებით, საბაკალავრო ნაშრომის თემას. წარმოდგენილ თემას განიხილავს და ამტკიცებს მხატვრული კერამიკის მიმართულების პროფესორ- მასწავლებელთა ჯგუფი. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის თარიღს, საბაკალავრო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის თარიღს განსაზღვრავს დიზაინის ფაკულტეტის საბჭო.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

- იდეის ორიგინალობა, სტილისტური ერთიანობა, შემოქმედებითი-მხატვრული მიდგომა, ანალიტიკური აზროვნება, სიახლის ძიება 10 ქ
- პრეზენტაციის, ექსპონირება, პორტფოლიო, ციფრული პრეზენტაცია, 10 ქ
- წარდგენილი ნაშრომის ანოტაციის გამართულობა, ხარისხი. 10 ქ
- შესრულების ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხარისხი/უნარები. 30 ქ
- არჩეული თემის მასალაში განხორციელების ხარისხი, შესრულების მეთოდები, ტექნიკური ფაქტორი, ტექნოლოგიური ფაქტორი ამოცანასთან მიმართებაში. 40 ქ

დასაქმების სფეროები (მიღებული კვალიფიკაციიდან გამომდინარე კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ სფეროებში)

- დასაქმდეს კერძო სტუდიაში კერამიკულ საწარმოსა თუ სადიზაინო ფირმაში.
- შესაბამისი კვალიფიკაციის შესაბამისად, ან საწარმოში, კომერციული საქმიანობით დაკავებულ სხვა ორგანიზაციებში.
- დამოუკიდებელად თვითდასაქმდეს, როგორც შემომქმედი მხატვარი-კერამიკოსი.
- დამოუკიდებელად თვითდასაქმდეს მეწარმეობით, როგორც ინდემეწარმე;
- სამხატვრო გალერეებში, საგამოფენო კომერციული საქმიანობით დაკავებულ სხვა ორგანიზაციებში შესაბამისი კვალიფიკაციი სშესაბამისად. გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში

პროგრამის სტრუქტურა (სემეტრების მიხედვით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა)

| საგნების დასახელება / BA | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | EGTS |
|-----------------------------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|------------|
| საბაზისო დისციპლინები | 9 | 9 | | | | | | | 18 |
| საუნივერსიტეტო დისციპლინები | 12 | 12 | 6 | 6 | | | | | 36 |
| არჩევითი დისციპლინები | | | 9 | 9 | 12 | 10 | 3 | 3 | 46 |
| სპეციალობის დისციპლინები | 10 | 10 | 15 | 15 | 20 | 20 | 25 | 25 | 140 |
| სულ | 31 | 31 | 30 | 30 | 32 | 30 | 28 | 28 | 240 |

| საგნების დასახელება | ECTS / სთ | ლექცია (კვირა) | სთ/ლექცია | საკონტაქტო | არასაკონტაქტო | ლექცია-პრაქტიკუმი | შუალედური შეფასება | დასკვნითი გამოცდა/სთ | საბაკალავრო ნაშრომი/სთ |
|--|-----------|----------------|-----------|------------|---------------|-------------------|--------------------|----------------------|------------------------|
| საბაზისო დისციპლინები | | | | | | | | | |
| ხატვა | 3/75 | 15 | | | | | | | |
| ხატვა | 3/75 | 15 | | | | | | | |
| ფერწერა | 3/75 | 15 | | | | | | | |
| ფერწერა | 3/75 | 15 | | | | | | | |
| გეომეტრიული მოდელირება /ზოგადი კურსი (ორთოგონალური გეგმილები, აქსონომეტრია, პერსპექტივი) | 3/75 | 15 | 2 | 32 | 43 | | 4 | 2 | |
| ინფორმაციული ტექნოლოგიები და საოფისე უნარები | 3/75 | 15 | 2 | 33 | 42 | | 4 | 3 | |
| სულ | 18 | | | | | | | | |
| საუნივერსიტეტო დისციპლინები | | | | | | | | | |
| ძველი სამყაროს ხელოვნება | 3/75 | 15 | 2 | 33 | 42 | | 4 | 3 | |
| შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხელოვნება | 3/75 | 15 | 2 | 33 | 42 | | 4 | 3 | |
| XVII-XIX სს-ის ევროპის ხელოვნება | 3/75 | 15 | 2 | 33 | 42 | | 4 | 3 | |

სასწავლო რუკა

| საგნების დასახელება | კურსზე დაშვების წინაპირობა | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | EGTS |
|--|--|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|------------|
| საბაზისო დისციპლინები | | 9 | 9 | | | | | | | 18 |
| ხატვა | წინაპირობის გარეშე | 3 | | | | | | | | |
| ხატვა | წინაპირობის გარეშე | | 3 | | | | | | | |
| ფერწერა | წინაპირობის გარეშე | 3 | | | | | | | | |
| ფერწერა | წინაპირობის გარეშე | | 3 | | | | | | | |
| გეომეტრიული მოდელირება (ორთოგონალური გეგმილები, აქსონომეტრია, პერსპექტივი) | წინაპირობის გარეშე | | 3 | | | | | | | |
| ინფორმაციული ტექნოლოგიები და საოფისე უნარები | წინაპირობის გარეშე | 3 | | | | | | | | |
| საუნივერსიტეტო დისციპლინები | | 12 | 12 | 6 | 6 | | | | | 36 |
| ძველი სამყაროს ხელოვნება | წინაპირობის გარეშე | 3 | | | | | | | | |
| შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხელოვნება | წინაპირობის გარეშე | | 3 | | | | | | | |
| XVII-XIX სს-ის ევროპის ხელოვნება | წინაპირობის გარეშე | | | 3 | | | | | | |
| ახალი და უახლესი დროის ხელოვნება (XX-XXI სს) | წინაპირობის გარეშე | | | | 3 | | | | | |
| წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება | წინაპირობის გარეშე | 3 | | | | | | | | |
| ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება (XIX) | წინაპირობის გარეშე | | 3 | | | | | | | |
| უცხო ენა I | წინაპირობის გარეშე | 3 | | | | | | | | |
| უცხო ენა II | უცხო ენა I | | 3 | | | | | | | |
| უცხო ენა III | უცხო ენა II | | | 3 | | | | | | |
| უცხო ენა IV | უცხო ენა III | | | | 3 | | | | | |
| ფილოსოფია | წინაპირობის გარეშე | | 3 | | | | | | | |
| აკადემიური წერა | წინაპირობის გარეშე | 3 | | | | | | | | |
| სპეც. არჩევითი დისციპლინები | | | | 9 | 9 | 12 | 10 | 3 | 3 | 46 |
| სპეციალობის დისციპლინები | | 10 | 10 | 15 | 15 | 20 | 20 | 25 | 25 | 140 |
| კომპოზიციის საფუძვლები (ვიზუალური ხელოვნება) | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | |
| მხატვრული კერამიკის სპეციალობის საფუძვლები | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | |
| კომპოზიციის საფუძვლები (პრაქტიკული კურსი) | კომპოზიციის საფუძვლები (ვიზუალური ხელოვნება) | | 5 | | | | | | | |
| მხატვრული კერამიკის წარმოების საბაზისო მეთოდები | მხატვრული კერამიკის სპეციალობის საფუძვლ | | 5 | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|--|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|------------|
| დაბალტემპერატურიანი მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოება | მხატვრული კერამიკის წარმოების საბაზისო მეთოდები | | | 10 | | | | | | |
| დაბალტემპერატურიანი მხატვრული კერამიკის ტექნოლოგია | მხატვრული კერამიკის წარმოების საბაზისო მეთოდები | | | 5 | | | | | | |
| დეკორატიული პლასტიკა მხატვრულ კერამიკაში | მხატვრული კერამიკის სპეციალობის საფუძვლები, მხატვრული კერამიკის წარმოების საბაზისო მეთოდები. | | | 10 | | | | | | |
| მხატვრული კერამიკის მოდელირება წარმოების მოცემულობის ანოტაცია-ანალიზი | კომპოზიციის საფუძვლები ; (ვიზუალური ხელოვნება), კომპოზიციის საფუძვლები (პრაქტიკული კურსი), მხატვრული კერამიკის სპეციალობის საფუძვლები, მხატვრული კერამიკის წარმოების საბაზისო მეთოდები | | | 5 | | | | | | |
| მხატვრული კერამიკის მოდელირება წარმოება, ქაშანური (ფაიანსი) | დაბალტემპერატურიანი მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოება | | | | | 10 | | | | |
| მხატვრული ფაიანსის ტექნოლოგია | დაბალტემპერატურიანი ფოროვანკეციანი თიხების ტექნოლოგია | | | | | 5 | | | | |
| პრაქტიკა I | სპეც. დისციპლინების სრული კურსი | | | | | 5 | | | | |
| შემცხვარკეციანი მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოება | დაბალტემპერატურიანი მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოება. მხატვრული კერამიკის მოდელირება წარმოება, ქაშანური (ფაიანსი) | | | | | | 10 | | | |
| შემცხვარკეციანი მხატვრული კერამიკის ტექნოლოგია | მხატვრული ფაიანსის ტექნოლოგია. დაბალტემპერატურიანი მხატვრული კერამიკის ტექნოლოგია | | | | | | 5 | | | |
| ერთიანი სტილისტური ხაზის მოდელირება-წარმოება მხატვრულ კერამიკაში | დაბალტემპერატურიანი მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოება. მხატვრული კერამიკის მოდელირება წარმოება, ქაშანური (ფაიანსი). შემცხვარკეციანი მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოება | | | | | | | 10 | | |
| პრაქტიკა II | სპეც. დისციპლინების სრული კურსი | | | | | | 5 | | | |
| ტექნიკა „რაკუ“ და ღია ცეცხლით გამოწვის სხვა ტრადიციული მეთოდები. | შემცხვარკეციანი მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოება | | | | | | | 10 | | |
| პრაქტიკა III | სპეც. დისციპლინების სრული კურსი | | | | | | | | 5 | |
| პლასტიური ფორმის განვითარება და ანალიზი | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | 5 | |
| საბაკალავრო ნაშრომი | სრული საბაკალავრო კურსი | | | | | | | | 20 | |
| სულ | | 31 | 31 | 30 | 30 | 32 | 30 | 28 | 28 | 240 |

• პროგრამის განხორციელებისათვის ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თსსა აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორები, მოწვეული პედაგოგები

| № | პედაგოგი სახელი/გვარი | სტატუსი | დისციპლინა |
|----|--------------------------|--------------------|--|
| 1 | გიორგი იაშვილი | პროფესორი | მხატვრული კერამიკის სპეციალობის საფუძვლები მხატვრული კერამიკის წარმოების საბაზისო მეთოდებისაბაკალავრო ნაშრომი |
| 2 | აკაკი ინანიშვილი | ასოც.პროფესორი | კომპოზიციის საფუძვლები №1 კომპოზიციის საფუძვლები №2 დეკორატიული პლასტიკა მხატვრულ კერამიკაში |
| 3 | ლია ბაგრატიონი | ასოც.პროფესორი | მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოების მოცემულობისანოტაცია ანალიზი მხატვრულ კერამიკაში „ერთიანი ხაზის“ მოდელირება წარმოება მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოება, დაბალტემპერატურიანი ფოროვანკეციანი თიხები. |
| 4 | გიორგი პაჭკორია | ასოც.პროფესორი | რაკუს ტექნიკა და ღია ცეცხლით გამოწვის სხვა ტრადიციული მეთოდები მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოება -ქაშანური (ფაიანსი). |
| 5 | სენჯერ სარი | მოწვეული პროფესორი | პრაქტიკა II პრაქტიკა III |
| 6 | თამარ კუპრაშვილი | მოწვეული პედაგოგი | პრაქტიკა I დაბალტემპერატურიანი ფოროვანკეციანი თიხების ტექნოლოგია |
| 7 | ინგა მიძიკაშვილი | მოწვეული პედაგოგი | მხატვრული ფაიანსის ტექნოლოგია მაღალტემპერატურიანი შემცხვარკეციანი თიხების ტექნოლოგია |
| 8 | ნატო წიკლაური | მოწვეული პედაგოგი | მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოება, დაბალტემპერატურიანი ფოროვანკეციანი თიხები. მხატვრულ კერამიკაში „ერთიანი ხაზის“ მოდელირება წარმოება |
| 9 | ილია ბიგანაშვილი | მოწვეული პედაგოგი | მხატვრული კერამიკის მოდელირება-წარმოება, მაღალტემპერატურიანი და შემცხვარკეციანი შედგენილი თიხები. |
| 10 | მამუკა ჩხაიძე | მოწვეული პედაგოგი | პლასტიური ფორმის განვითარება და ანალიზი |

